შეთანხმების ფურცელი

მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის II ფაზასთან დაკავშირებით საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელ „სასესხო ხელშეკრულების“ და აზიის განვითარების ბანკს (ADB) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის გასაფორმებელ „საპროექტო ხელშეკრულების“ პროექტებზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
იუსტიციის სამინისტრო	"მუნიციპალური მომსახურების განვითარების II ფაზასთან" დაკავშირებით საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი "სასესხო ხელშეკრულებისა" და აზიის განვითარების ბანკსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გასაფორმებელი "საპროექტო ხელშეკრულების" პროექტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების არაერთი დებულების შესაბამისად განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გრანტის სახით სესხის თანხების მუნიციპალურ მთავრობებზე გადაცემის უფლება-ვალდებულება, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის " გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლთან. მითითებული ნორმის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ წარმოადგენს გრანტის გამცემს.	არ არის გათვალისწინებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ცალსახად აღიარებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა ან შეთანხმების უპირატეს იურიდიულ ძალას შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ აღნიშნული ხელშეკრულება ან შეთანხმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას. ვინაიდან „სასესხო ხელშეკრულების“ პროექტი თავისი შინაარსით წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიული აქტების მიმართ („გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა.).

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შენიშვნები არ გააჩნია	